თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომის ოქმი N4

12 ნოემბერი, 2016 წელი ქ.თეთრიწყარო

ესწრებოდნენ: საბჭოს თავმჯდომარე გიორგი აბულაძე, საბჭოს წევრები ელენე ჩარკვიანი, მარიამ წიკლაური, მადონა ოქროპირიძე, ლუსინე დოსტიბეგიანი, დავით ბეკოშვილი, მარიმ კობახიძე. სხდომას ასევე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ეკა აფციაური, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსი ნატო ალთუნაშვილი და ადგილობრივი ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი თინიკო ბექაური.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი აბულაძე
სხდომის მდივანი: ელენე ჩარკვიანი

დღის წესრიგი:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის განხილვა (მომხსენებელი: ეკა აფციაური)

1.მოისმინეს: ეკა აფციაურმა დამსწრეებს გააცნო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, პროგრამების შინაარსი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

მრჩეველთა საბჭოს წევრებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა გამოთქვეს საკუთარი აზრი და შენიშვნები ბიუჯეტის პრიორიტეტების დოკუმენტისა და მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მიმართ, კერძოდ:

მადონა ოქროპირიძის აზრით, მნიშვნელოვანია ახალგაზრდების გააქტიურება და მათი დატრენინგება სხვადასხვა თემის ირგვლივ, აგრობიზნესისა და სამრეწველო ინდუსტრიის განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა.

მარიამ კობახიძის აზრით, ბიუჯეტის გაზრდისათის ძირითადი აქცენტი უნდა იქნას მიმართული ტურიზმის განვითარებაზე, კომფორტული გარემო შეიქმნას დამსვენებლებისათვის და ხელი შეეწყოს სასტუმროების შექმნას.

ლუსინე დოსტიბეგიანის აზრით, საჭიროა მეტად მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება ბიუჯეტთან დაკავშირებით, რათა იცოდნენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი რა პროექტებს ითვალისწინებს. მას მნიშვნელოვნად მიაჩნია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება და საამისოდ ინფორმაციის გავრცელება მუნიციპალიტეტში

არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ. ლუსინე დოსტიბეგიანმა აღნიშნა, რომ უნდა ხელი შეეწყოს მოსახლეობის ჩართულობას სხვადასხვა სახის პროექტების განხორციელებაში.

დავით ბეკოშვილის აზრით, თეთრიწყაროს ტურისტული პოტენციალის გაზრდისათვის საჭიროა ამ ამხრივ ცნობადობის გაზრდა, მაგ., ვიდეო სიუჟეტების გაკეთება თეთრიწყაროს პოპულიზაციისთვის. მან ასევე მნიშვნელოვნად მიინია, რომ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი იყოს ტურიზმის განვითარება, რისთვისაც მნიშვნელოვანია ისტორიული ძეგლების მოვლა-შენარჩუნება, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება, თეატრალური წარმოდგენების მოწყობა. დავით ბეკოშვილმა აღნიშნა, რომ 2016 წლის ზაფხულში თეთრიწყაროს ახალგაზრდებმა შეაგროვეს ხელმოწერები ხელისუფლებისადმი თხოვნაზე, რომ დაფუძნდეს თეატრი და საამისოდ გამოიყოს ან აშენდეს შენობა, ეს იდეა მოსახლეობაში პოპულარულია და მისი განხორციელება გამოიწვევს მუნიციპალიტეტში კულტურულ აღმავლობას.

მარიამ წიკლაურის აზრით, საჭიროა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ქალაქ თეთრიწყაროს ტურისტებისათვის მიმზიდველ კურორტად კეთილმოწყობისათვის, ასევე, ადგილობრივი მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა. ინვესტიციების მოზიდვა, კერძო ბიზნესის განვითარება. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ქალაქში ტურისტული პოტენციალის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის უმთავრესია თეთრიწყაროს არქიტექტურული მემკვიდრეობის შესწავლა, მოვლა, რესტავრაცია და პირვანდელი სახის შენარჩუნება.

ელენე ჩარკვიანის აზრით, ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და სპორტის განვითარება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს. სპორტული ღონისძიებების მეტად დაფინანსებითა და ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობით თეთრიწყარო აღარ დაკარგავს ნიჭიერ სპორტსმენებს, მათ არ მოუწევთ წასვლა სხვაგან, ინვენსტორის მოსაძიებლად, რომ მეტ წარმატებას მიაღწიონ. ახალგაზრდა სპორტსმენების წარმატება ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებაა, ისინი ჩვენი ახალგაზრდობის სახეს უნდა წარმოადგენდნენ, - თქვა საბჭოს მდივანმა.

თინიკო ბექაურის აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის გაზრდისათვის საჭიროა საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარების გზით კერძო პროექტების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის შექმნა და კერძო ინვენსტორების მოზიდვა.

ნატო ალთუნაშვილის მოსაზრებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წყალმომარაგებით სრულად, ხარისხიანი სასმელი წყლითა და 24-საათიანი უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხების ოდენობის შესწავლა უნდა დაევალოს ააიპ „თეთრიწყაროს წყალს'. მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის მან მნიშვნელოვნად მიიჩნია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ქალაქ თეთრიწყაროს არქიტექტურის შესწავლა, ძეგლების გამოვლენა და მათი შეყვანა კულტურულ-მემკვიდრეობით ძეგლთა ნუსხაში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინვენტარის შესაძენად დონორი ფონდების მოძიება. ნატო ალთუნაშვილმა აღნიშნა, რომ ტურიზმის დარგის განვითარებით მოხდება საოჯახო სასტუმროების ხელშეწყობა-განვითარება, შემცირდება სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა და მათი დახმარებისათვის ამჟამად განკუთვნილი საბიუჯეტო თანხები მოხმარდება მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი აბულაძემ წარმოადგინა **წინადადებები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის ხარისხისა და გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად:**

1) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 08/07/2011 N385 ბრძანებას პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე, კერძოდ: მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს თითოეული პროგრამის აღწერა და მიზანი, ანუ დეტალურად უნდა გაიწეროს, რა ღონისძიებებია დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში და რას უნდა მივაღწიოთ პროგრამის განხორციელებით; მომსახურების მიწოდების ტიპის პროგრამების ქვეპროგამებში მოკლევადიანი შედეგები უნდა განისაზღვროს კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, ასევე, სუბსიდირებისა და ინფრასტრუქტურული ტიპის პროგრამებისათვის უნდა იყოს მოყვანილი როგორც საბოლოო შედეგის, ასევე საბიუჯეტო წლისათვის მათი მიმდინარეობის შეფასების რაოდენობრივი ინდიკატორები.
   არც პროგრამებში და არც პრიორიტეტების დოკუმენტში არ ჩანს, როგორია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რეალური საჭიროებები, მაგალითად:
- რამდენ ოჯახს ესაჭიროება და რამდენია უზრუნველყოფილი ხარისხიანი სასმელი წყლით 24-საათიანი წყალმომარაგებით და რამდენი პროცენტით გაუმჯობესდება ეს მაჩვენებელი 2017 წელს, როცა მუნიციპალიტეტი ააიპ „თეთრიწყარო-წყალის“ შენახვაზე დახარჯავს 345,7 ათას ლარს (პროგრამული კოდი 03 02 01),
- რამდენი დასახლებაა სრულად უზრუნველყოფილი ნარჩენების გატანის სერვისით და როგორია ამ სერვისის მიწოდების გაუმჯობესების საპროგნოზო მაჩვენებლები 2017 წელს, როცა მუნიციპალიტეტი 690,3 ათასი ლარს დახარჯავს დასუფთავების ღონისძიებებზე (პროგრამული კოდი 03 02 04), და ა.შ.
- სპორტის განვითარების ხელშეწყობისა (პროგრამული კოდი 05 01) და კულტურის განვითარების ხელშეწყობის (პროგრამული კოდი 05 02) ქვეპროგრამებში არ ჩანს, რომელი „სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა“ აქვს განსაზღვრული მუნიციპალიტეტს, რა ოდენობით და რა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებებისთვისაა გამოყოფილი 903,3 ათასი დალარი ამ მიზნებისთვის;
- რატომ არ მიიჩნევს საჭიროდ ურბანული ტერიტორიის მოწყობას (პროგრამული კოდი 05 02) 2017 წელს მუნიციპალიტეტი საჭიროდ და საამისოდ საერთოდ არ აქვს გამოყოფილი სახსრები, და ა.შ.

2) მიზანშეწონილია, თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის ბიუჯეტში ცალკე იქნას განსაზღვრული მათ მიერ შესასრულებელი პროგრამა, ხოლო ბიუჯეტის დანართის სახით ერთვოდეს მხარჯავი დაწესებულებების საპროგნოზო ხარჯთაღრიცხვები და საშტატო განრიგები;

3) თვითმმართველ ერთეულებში პრიორიტეტების განსაზღვრისა და პროექტების შერჩევის პროცესის ეფექტიანობის აუდიტის 2016 წლის ანგარიშში (19.10.2016, N 53/36) ნათქვამია, რომ „მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტი არ შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის რეალური პრიორიტეტების შესახებ, რის გამოც დაინტერესებული მხარეებისათვის უცნობია, რომელი საჭიროებებია ყველაზე მნიშვნელოვანი მუნიციპალიტეტისათვის. ბიუჯეტში მოცემული პროგრამების/ქვეპროგრამების პროგრამული კოდების ზრდადობის მიხედვით (01 00-დან 06 00-მდე). აბაშის, გურჯაანისა და თეთრიწყაროს პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით, მუნიციპალიტეტების მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს თავდაცვა, რომელიც პრიორიტეტულია ეროვნულ და არა მუნიციპალურ დონეზე. შესაბამისად, პრიორიტეტების დოკუმენტის არსებული ფორმა დაინტერესებულ მხარეებს (მოსახლეობა, მთავრობა, პარლამენტი, გუბერნია, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.) არ აძლევს საშუალებას, მიიღონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში არსებული რეალური პრიორიტეტების შესახებ. ამასთანავე, აღნიშნული მუნიციპალიტეტების პრიორიტეტების დოკუმენტში მოცემული პრიორიტეტები

წარმოდგენილია ძალიან ზოგადი სახით“. შესაბამისად, პრორიტეტების დოკუმენტი საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას, რისთვისაც მუნიციპალიტეტმა ეფექტიანად უნდა გამოიყენოს UNDP-ს პროექტის “რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში” მიერ მიმდინარე წელს შემოთავაზებული საექსპერტო მხარდაჭერა.

4) ბიუჯეტის პროგრამებში საკმარისად არ არის დეტალიზებული მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლისთვის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მათი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დიკუმენტაციისათვის გამოყოფილი თანხები, მაგალითად, დოკუმენტის ტექტში არსად ჩანს პროექტის ქ.თეთრიწყაროში თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესში შემუშავებული და მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მოწონებული საპროექტო წინადადების "სარეკრეაციო ზონის რეაბილიტაცია ქალაქ თეთრიწყაროში" საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დიკუმენტაციის შესადგენად საჭირო თანხები.

5) მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა ანაზღაურება არის დაბალი, რის გამოც მუნიციპალიტეტს აქვს კვალიფიციური კადრების პრობლემა. მიზანშეწონილია, მოხდეს გამგეობისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებების (ა.ა.ი.პ-ების და შ.პ.ს-ების) იმგვარი რეორგანიზაცია, რომ იქ დასაქმებულმა პერსონალმა მიიღოს ღირსეული ხელფასი, ამასთან, ორგანიზაციების ხელმძღვანელი რგოლისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას შორის არ უნდა იყოს ისეთი მკვეთრი სხვაობა, როგორიც არის ამჟამად. საამისოდ აუცილებელია მხარჯავი დაწესებულებების საშტატო ნუსხის გადასინჯვა, თითოეული საშტატო ერთეულის ფუნქციური დატვირთვის განსაზღვრის მიმართულებით.

6) შიდა აუდიტის სამსახურმა რეგულარულად ჩაატაროს მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი პარამეტრების მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ბიუჯეტის შესაბამისი კორექტირება წლის განმავლობაში, მაგალითად, ქვეპროგრამაში „სკოლამდელი განათლება“ (პროგრამული კოდი 04 01) აღნიშნულია, რომ „მუნიციპალიტეტში დაფინანსდება 17 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას მიიღებს 750-ზე მეტი ბავშვი“, მაგრამ თუ შემოწმებისას დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები რეალურად ემსახურება ბავშვების ნაკლებ ოდენობას, უნდა დაუყოვნებლივ მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი აბულაძე

სხდომის მდივანი: ელენე ჩარკვიანი